MES 7 23 0001113632

08/09/2023

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი: 07/09/2023
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: არჩილ სუმბაძე

სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პლატფორმა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - *საბჭოს თავმჯდომარე;*
არჩილ სუმბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი, *სხდომის მდივანი*;
გივი გაგნიძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი;
კახაბერ ფარცვანია - შპს - "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი.
აკაკიხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტი-ბიზნესის მიმართულებით;

სხდომაზე დამსწრე პირები:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ნიკოლოზ ფარჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	**ქეთევან ინანაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	**თორნიკე ბაქაქური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	**ლალი ოდიშვილი**	

		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების (შემდგომში - ავტორიზაციის დებულება) 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

ავტორიზაციის დებულების 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სააპელაციო საბჭოს მდივნის არყოფნის გამო, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაევალა საბჭოს წევრს, არჩილ სუმბაძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ ავტორიზაციის დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ავტორიზაციის დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „შპს ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. „შპს ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

საკითხი განხილვა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად, ან განაცხადოს უარი საჩივრის განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრულია ავტორიზაციის დებულების 97-ე მუხლით. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ/მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს, საჩივარი საბჭოს მიერ მიიღება განსახილველად. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით (№BAU-OC2860 (1012769, 18/08/2023)) ჩანს, თუ ვის მიმართავს დაწესებულება (იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება) და ამავდროულად მითითებულია, თუ რომელი გადაწყვეტილება არის გასაჩივრებული (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება - №957691, 02/08/2023). საჩივარში გათვალისწინებულია/ასახულია ავტორიზაციის დებულების 97-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნები. გარდა ამისა, ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა არის დეტალურად აღწერილი და დასაბუთებული და წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების სისტემურ-ტელეოლოგიური განმარტების გათვალისწინებით, სააპელაციო საბჭოს შექმნისა და საქმიანობის მიზანს წარმოადგენს დაინტერესებული მხარისთვის შესაძლებლობის მიცემა, თუკი იგი არ ეთანხმება ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ შესაბამისი სახის გადაწყვეტილებას, რომელიც შესაძლოა მის კანონიერ ინტერესებსა და უფლებებზე ახდენდეს გავლენას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა ჰქონდეს სააპელაციო წესით.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ ავტორიზაციის დებულების 95-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაწესებულებამ სააპელაციო საბჭოში შესაძლებელია გაასაჩივროს ამ დებულების 77-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ეს უკანასკნელი მუხლი ითვალისწინებს შემდეგი გადაწყვეტილების სახეებს:
„ა) ავტორიზაციის შესახებ;
ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;
გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.“

საბჭოს თავმჯდომარის, ირაკლის ბურდულის განმარტებით, ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 02 აგვისტოს №957691 გადაწყვეტილება, წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ უქმნის საფრთხეს განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა. გარდა ამისა, აღნიშნული გადაწყვეტილება არ მიესადაგება ავტორიზაციის დებულების 77-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ჩამონათვალში მითითებულ არცერთ შესაძლო გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსთან დაკავშირებით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სააპელაციო საჩივრის განხილვაში მიღების სამართლებრივი საფუძველი არ იკვეთება, რაც საბჭოს მხრიდან საჩივრის წარმოებაში მიღების უფლებამოსილების საკითხს გამოყოფს დებულებით გათვალისწინებული ნორმების შინაარსის არქონის გამო. შესაბამისად, არსებითად განხილვა იმ საკითხისა, რომელიც დებულების

(როგორც სააპელაციო საბჭოსთვის ამ საკითხზე სპეციალური ნორმატიული ბაზისა) მიხედვით არ აფუძნებს საპელაციო საბჭოს მხრიდან საჩივრის განხილვის შესაძლებლობას, მიზანშეუწონელი და არამართლზომიერი იქნებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა დამატებით განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას რჩება შესაძლებლობა გადაწყვეტილება გაასაჩივროს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0;
წინააღმდეგი - 5.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 95-ე მუხლის პირველი პუნქტის, 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტების შესაბამისად, არ იქნას განსახილველად მიღებული შპს ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის 2023 წლის 18 აგვისტოს №BAU-OC2860 (ცენტრში რეგისტრაციის - №1012769, 18/08/2023) სააპელაციო საჩივარი სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ.

16:30 საათზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სუმბაძე არჩილ